საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „monoliTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№55/20

`01~ ივლისი 2020 წ.

შ.პ.ს. ”ლათა N”-ის დირექტორს, ქალბატონ მარიანა მამაჯანოვას.

ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ქუჩა გ. აბესაძე №7. ქალაქი თბილისი ქუჩა აბესაძე (ყოფილი პირველი მაისი) №9-ში, შ.პ .ს . „ლათა N“-ს გააჩნია ორი მიწის ნაკვეთი მათზე მდებარე შენობებით, რომლებშიდაც ფუნქციონირებს სასტუმრო.

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით ს/კ№01.18.03.039.048 მდებარე შენობის სართულიანობა ასეთია: -ერთი სარდაფის სართული ნიშნულზე -1.70მ (ნიშნულებში -1.70 -(+1.05) მ.). -ერთი მიწისზედა სართული ნიშნულებში ±0.00 -2.70მ. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილიაფოლადის ხისტკვანძებიან კარკასულ ვარიანტში. კერძოდ კარკასის დგარებად და რიგელებად გამოყენებულია ფოლადის კვადრატული განივი კვეთის მქონე ელემენტები 200×5მმ. სართულშუა გადახურვებად სარფდაფის სართულისათვის გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილა; ხოლო სასხვენო გადახურვად და სახურავის ელემენტებად გამოყენებულია ხის კონსტრუქციები პერიმეტრზე შენობა შემოსაზღვრულია კედლებით წითელი აგურის წყობისაგანსისქით 70სმ.

მშენებლობის პროცესში განხორციელდა არქიტექტურული პროექტის კორექტირება, რამაც გამოიწვია საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტის ცვლილებაც, კერძოდ მე-„3“ და „ა“ ღერძების გადაკვეთაზე მდებარე კოლონა და ასევე მე-„4“ და „ა“ ღერძების გადაკვეთაზე მდებარე კოლონა გახდა სადემონტაჟო, განახლებული პროექტის მიხედვით, მოცემული კოლონების მაგივრად, მოეწყობა ორი ახალი კოლონა მე-„3ა“ და „ა“,; მე-„4ა“ და „ა“ ღერძს გადაკვეთებზე.

ასევე განხორციელდა სახურავის სტრუქტურის კონფიგურაციის ცვლილება, ბრტყელი გადახურვის ნაცვლად დაგეგმილია ორ ქანობიანი სახურავის მოწყობა.

ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები განხორციელებულია შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის მიხედვით. მთლიანობაში აღნიშნული ცვლილებები არ ცვლის შენობის კონფიგურაციას, არ იზრდება სართულიანობა და დატვირთვები.

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გამო, შ.პ.ს. „ლათა N“-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაატაროს არსებული შენობის რეკონსტრუქცია და №01.18.03.039.048 საკადასტრო ერთეულით განსაზღვრულ შენობას დააშენოს ორი სართული. დამატებული სართულების ნახიდი კონსტრუქციული სქემა იქნება ქვედა სართულების ანალოგიური, ე.ი. ფოლადის კარკასი. მის საძირკვლად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა. ძაბვა გადაცემული ფუძეზე (საძირკვლის ფილის საშუალებით) დაშენებული სართულების პირობებში არ აღემატება $\sigma=0.6$კგ/სმ^2; რაც ნაკლებია საანგარიშო წინაღობაზე. $\sigma < R_{გრ}$

მომიჯნავე ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია №01.18.03.039.054; მიმდინარეობს შენობის მშენებლობა. იგი გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში (იხ. ფოტო1).



ფოტო1

დასკვნა:

1. ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ქუჩა გ. აბესაძე №7. ქალაქი თბილისი ქუჩა აბესაძე (ყოფილი პირველი მაისი) №9-ში, შ.პ .ს . „ლათა N“-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.18.03.039.048) გააჩნია შენობა სადაც ფუნქციონირებს სასტუმრო.

2 ჩვენს ქვეყანაში ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გამო, შ.პ.ს. „ლათა N“-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაატაროს არსებული შენობის რეკონსტრუქცია და დააშენოს მასზე ორი სართული.

მომიჯნავე ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია №01.18.03.039.054; მიმდინარეობს ახალი შენობის მშენებლობა, რომლის მზიდი კონსტრუქციულინაწილი გადაწყვეტილიამონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში.

3. შ.პ .ს . „ლათა N“-ს მიერ ჩატარებული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას მომიჯნავე ნაკვეთზე (ს/კ №01.18.03.039.054) მშენებარე შენობისათვის, როგორც მშენებლობის, აგრეთვე მისი ექსპლოატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს
დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/